პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

1976 ოთხშაბათი 24 მარტი № 69 (16499) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

თვითეულისა და ყველას საქმე

საკავშირო XXV ყრილობა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის გადაწყვეტილებები ახლა გულდასმით ეცნობიან მშრომელები, რომლებიც მატერიალურ ძალას ანიჭებენ პარტიის წინასწარდასახულობებს. ეს დამაჯერებლად ცხადყო შრომითს კოლექტივებში გამართულმა ხალხმრავალმა მიტინგებმა და ყრილობის დელეგატებთან შეხვედრებმა. ამასვე დასტურებს ამყამად მიმდინარე პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული აქტივების კრებები და პარტიული კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ XXV ყრილობის შედეგებს, მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის მიერ დასახულ კურსს, საქმიანად მსჯელობენ ხუთწლედის გეგმების პრაქტიკულად განხორციელების გზებზე.

ზედიზედ ორ დღეს — 16-17 მარტს რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი ყოველმხრივ, ღრმა დაინტერესებით უკეთებდნენ ანალიზს მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ წარმატებებს, აკონკრეტებდნენ სოციალისტურ ვალდებულებებს, ამუშავებდნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სტრატეგიასა და ტაქტიკას მეათე ხუთწლედისათვის და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის.

რესპუბლიკამ ხუთწლედი შეასრულა. და ეს მან შეძლო პირველი ორი წლის სერიოზული ჩამორჩენის შემდეგ. ამასთან, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ზედიზედ იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. ეს ჩვენი ხალხის უმაღალითო გმირობა იყო, რამაც შეუძლებელი შესაძლებლად აქცია. მაგრამ კომუნისტები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და უმთავრესად დღევანდელი პრობლემებით, ხვალინდელ დღეზე ზრუნვით, ჩვენი შემდგომი განვითარების პერსპექტივებით ცხოვრობენ.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ბოლო წლების მანძილზე გაწეული უდიდესი მუშაობის მიუხედავად თვითდამშვიდების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე პრინციპული სკკ-ბაასი გაიმართა ბევრ ნაკლოვანებასა და ხარვეზზე. რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მძლავრ წინსვლას. მაგალითად, ქიმიური მრეწველობის განვითარება არა თუ შეჩერდა, არამედ მან მიღწეული მიჯნების დაკარგვაც დაიწყო. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ფანქანთამშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში. „ყველაფერი რიგზე არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეულ რგოლებში. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის მრეწველობას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას უდიდესი რეზერვები გააჩნიათ.

პარტიულ აქტივებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბარეკლადი პარტორგანიზაციების კრებებზე. რომლებზეც ნათლად ვლინდება პარტორგანიზაციების ცხოვრების საერთო ატმოსფერო, საჭიროა ღრმა პარტიული სკკ-ბაასი გაიმართოს სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებულ იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტას უნდა მოახმარონ მთელი თავიანთი ძალღონე პარტიულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა, ყველა მშრომელმ. იქ, სადაც კომუნისტებს სწამთ, რომ კოლექტივის საზრუნავი თავიანთი საზრუნავია, სადაც მუდამ ინტერესით ეკიდებიან თვითეულის აზრს და ზუსტად არის დაყენებული კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, კრებებზე ჩვეულებრივ ბევრია გამოსვლის მსურველი. ადამიანები პარტიულ ბეჭობაზე თავიანთი ფიქრებით მოდიან და სურთ ამხანაგებს გაუზიარონ აზრი, რათა ხელი შეუწყონ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ ამ კრებებმა და პლენუმებმა ნამდვილად პარტიული პრინციპულობის, მკაცრი მომთხოვნელობის, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიაროს, ისინი გულდასმით უნდა მოვამზადოთ. კრებებისა და პლენუმების მომზადებაში აქტიურად უნდა ჩავებათ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების აპარატის მუშაკები. კრებებსა და პლენუმებზე დამსწრეთა დიდმა პროცენტმა, მათმა აქტივობამ უნდა ცხადყოს მტკიცე პარტიული დისციპლინა და დღის წესრიგთ ადამიანთა ღრმა დაინტერესება. საქმე რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, პარტიული ორგანიზაციების ყველა რგოლის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერების, კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების პრობლემის ეხება. კრებებზე კომუნისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებები უნდა შეკრებილ-ნ-ულ-ი-ყ-ო-ს-ა-ბ-ა-ს-ა-ბ-ა-ს-ა-ბ-ა

ახალი ვალდებულებით

სანაოსნოს ხუთფლედი

როგორც ცნობილია, სკკპ XXV ყრილობაზე მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა პროექტით გათვალისწინებულია 35-39 პროცენტის ნაცვლად 37-41 პროცენტამდე გაიზარდა. ეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოსაც ეხება.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს — ამ დიდი კომპლექსური სტრანსპორტო ორგანიზაციის გემებისა და სახმელეთო ორგანიზაციების კოლექტივებმა მოიწონეს სკკპ XXV ყრილობის ეს გადაწყვეტილება და მეათე ხუთწლედისათვის იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. იგი ითვალისწინებს ტვირთის გადაზიდვის წლიური გემგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის და გემების გადამეტებით გადაზიდონ ათობით ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მეზღვაურებმა ივალდებულეს ნავთობსამსხმელი და მშრალი ტვირთის გემების არამწარმოებლური მოცდენა 15-15 პროცენტით შეამცირონ და ამ გზით დამატებით მიიღონ 35 ათასი მანეთი მოგება.

ტვირთის დამუშავების დაჩქარებისა და თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული სანაოსნოს ნავსადგურებში. მენავსადგურეებმა იკისრეს წელს გემის გადამეტებით დამუშაონ 100 ათასი ტონა ტვირთი. ამაღლონ კომპლექსური მექანიზაციის დონე, სანაოსნოს ნავსადგურების სამგზავრო ფლოტი წელს გემის გადამეტებით 10 ათას მგზავრს გადაიყვანს და 10 ათას ტონა ტვირთს გადაზიდავს.

წინა წლებთან შედარებით წლეულს 460 ათასი მანეთით გაუზრდიათ მოგების გემგმა, განზორციელდება გემების შეკეთების დაჩქარებისა და ტექნიკური მომსახურების გაუჯობესების ღონისძიებები, რის მეოხებითაც გემების სარემონტო დროის ბიჯეტი შემცირდება 2 პროცენტით, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის საექსპლოატაციო დროს და ათეულ ათასობით მანეთ დამატებით შემოსავალს მისცემს სახელმწიფოს.

ფლოტის ტექნიკური ექსპლოატაციის სრულყოფით, უნიფიცირებული ტექნიკური ნორმატივების დანერგვითა და სხვა ღონისძიებებით ნორმასთან შედარებით სათბობისა და საპოხის ხარჯვა 1,7-ჯერ შემცირდება, რაც ფლოტს 100 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს. გარდა ამისა 865 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტი გათვალისწინებულია ახალი ტექნიკის რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების, სიახლეების დანერგვით, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომუნისტმა XXV ყრილობამ.

სანაოსნოს რამდენიმე გემი წარმატებით მუშაობს შრეკინოველთა მეთოდით. ამ მხრივ ეფექტური ღონისძიებები განხორციელდება მეათე ხუთწლედის პირველ წელს. შრეკინოველთა მეთოდზე გადავა კიდევ 9 გემი, რაც 30 ათას მანეთ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტმა ფორუმზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მმართველთა საბანაო პირობების გაუმჯობესებას. ამ მხრივ სანაოსნოს სისტემაში ცუდი მდგომარეობა არა გვაქვს. ბოლო წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო წელს აშენდება 6,6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

მეათე ხუთწლედის პირველი წლისათვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები და შემხვედრი გემგმები მიიღო სანაოსნოს ბევრი გემისა და სახმელეთო ორგანიზაციის კოლექტივებმა, რომლებმაც ყირიმის შემდეგ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიის მოწოდებას პასუხად საქართველოს სანაოსნოს ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები წარმატებით განაღდებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს.

ა. კაპარაძე,
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილოგების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

საშუალო განათლება — თვითეულ მუშას

როგორ მოვამზადოთ ახალგაზრდა მუშები ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის

„უზრუნველყოთ ახალგაზრდათა შორის მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის უწინარეს ყოვლისა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც მოსწავლეებს აძლევენ ერთდროულად სპეციალობასა და ზოგად საშუალო განათლებას, აგრეთვე ტექნიკურ სასწავლებლებში“.

სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ ეს სტრიქონები მოწმობენ კომუნისტური პარტიის უდიდეს ყურადღებას მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებისადმი.

ქვეყნის კომუნისტთა ფორუმმა დასახა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივები. ახალ ხუთწლედში ერთიორად და მეტად გაიზრდება მოსწავლეთა მიღება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში. სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის 11 მილიონამდე კვალიფიციურ მუშას მოამზადებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა. ამასთან, ნაკარაუდევია სულ ცოტა 2,5-ჯერ გაზრდილ საშუალო განათლების მუშათა მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ დიდი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საბაჭო სამინისტროებისა და ორგანიზაციების, პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელები.

კოლეგიამ განიხილა საშუალო განათლების კვალიფიციურ მუშათა მომზადების საქმეში საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების შემოწმების შედეგები, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

ეს ინსპექტირება ჩატარდა ექვსი ადამიანისაგან შემდგარ კომისიებში. ამ კომისიებს ხელმძღვანელობდნენ: ი. ხარატიშვილი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორები — სოციალისტური შრომის გმირი ე. სოლომონია, ნ. კუპავა, დ. დავითაშვილი, ვ. სანიკიძე, ა. გასიტაშვილი, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. დუდჩენკო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თ. ჩიკვაიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი კ. მაჭარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ჭიჭინაძე, რუსთავის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ვ. დორმიდონტოვი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე ა. პაიჭაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე პ. ხოფერია, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ქვათაძე და სხვები.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ნ. შესტაკოვი.

1980-1981 სასწავლო წლისათვის საქართველოში იქნება ორი ტიპის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: საშუალო — მერვეკლასელთათვის და ტექნიკური — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის. ეს საშუალებას მოგვცემს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მოვამზადოთ საშუალო განათლების მქონე ასი ათასამდე კვალიფიციური მუშა. სულ კი ახალი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის სასწავლებლები ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოუმზადებენ 121 ათას სხვადასხვა პროფესიის წარმოების მუშაკს.

მნიშვნელოვნად განმტკიცდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეათე ხუთწლედში საქართველოში საექსპლოატაციოდ გადავცემთ 21 ათასზე მეტი მოსწავლისათვის გათვალისწინებულ ახალ კომპლექსებსა და სასწავლო კორპუსებს. გაუმჯობესდება ლაბორატორიების, სასწავლო კაბინეტების, საწარმოო სწავლების სახელოსნოების აღჭურვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპეციალისტების მომზადებას სოფლისათვის. აშენდება სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ახალი კომპლექსები, მოხდება მოქმედი სასწავლებელთა რეკონსტრუქცია. 24 ათასამდე გაიზრდება მექანიზატორთა გამოშვება ახალ ხუთწლედში. აქედან 4 ათასს შეადგენენ სპეციალისტები მეცხოველეობის ფერმებისათვის.

კოლეგიის მოხსენებებმა გამოთქვეს სურვილი, რომ საბაზო სამინისტროები და უწყებები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ყოველწლიურად გზავნიდნენ გარკვეული რაოდენობის დამრიგებელ წარმოების მუშაკებს. ამის შედეგად გაუმჯობესდება პროფესიულ-ტექნიკურ-სასწავლებლებში საწარმოო სწავლების ოსტატთა კადრების განმტკიცების მდგომარეობა.

ყველაფერი უნდა ეიღონოთ მომავალ მუშათა სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მივაღწიოთ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მომზადების მაღალ პროფესიულ დონეს. სწავლების პროცესში მოსწავლეები უნდა დაეუფლონ უახლეს მანქანებსა და დანადგარებზე მუშაობის მოწინავე ხერხებს, ითვისონ პროგრესული ტექნოლოგია, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდები, შეისწავლონ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება. მუშათა პროფესიული სწავლება უნდა ხდებოდეს წარმოებაში ახალგაზრდა მუშების შემდგომი მუშაობის პირობებთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში.

კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიზანია საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

კოლეგიის გაფართოებული სხდომის შედეგები შეჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

სკკპ XXV ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა ის დიდი და კეთილშობილური ზემოქმედება, რასაც სოციალისტური შეჯიბრება ახდენს სამეურნეო პრაქტიკაზე, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ზნეობრივ ატმოსფეროზე. შეიძლება ითქვა, რომ სოციალისტური შეჯიბრების თავისებურებებს, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებებისათვის მოძრაობის ყველაზე აქტუალურ ამოცანებს, ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „მთელი ქვეყანა ამყვა იხეთ შესანიშნავ თაოსნობას, როგორც არის მოძრაობა შემხვედრი გეგმების მიღებისათვის“.**

მეცხრე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა. იმ მუშაობისა და კოლექტივების წახალისების ფორმების სრულყოფისათვის. რომლებმაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს წარმოების განვითარებაში, ითვისებდნენ პროფესიებს, მზრუნველად, ყაირათიანად ეკიდებოდნენ საზოგადოებრივ ფოვლათს.

ეიწც უკანასკნელი სამწლეულის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო პრაქტიკის მაჯასცემას დაჰკიდებია, იმან კარგად იცის, თუ რა დიდი დამაჩქარებლის როლი შეასრულა ჩვენს საერთო წარმატებებში შემხვედრი დაგეგმვის პრინციპების თანმიმდევრულმა და ენერგიანმა გამოყენებამ. ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ უკანასკნელ სამწლეულში რესპუბლიკის მრეწველობამ ქვეყანას მიხცა 508 მილიონი მანეთის, მათ შორის მარტო შარშან 227-მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, რამაც უზრუნველყო ხაჭრთველოს ინდუსტრიის გაძარჯვებული ფინანსი.

იმ წყარობამ, რომლებმაც განაპირობეს რესპუბლიკის ეკონომიკის საერთო ალმავლობა მეცხრე ხუთწლედში, საჭიროა კიდევ მეტი ძალით განაკარძონ მოქმედება მეათე ხუთწლედში. ახლა ხომ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე კეთილსასურველი პირობებია შექმნილი „ადამიანი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯამებისათვის, წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის.

ინტენსიფიკაცია ფრანგული წარმოობის სიტყვაა და ნიშნავს გაძლიერებას, დაძაბულობას, ქმედითობას. ეკონომიკაში ამ სიტყვას უფრო ფართო აზრი აქვს. წარმოების ინტენსიფიკაცია საზოგადებრივი წარმოების განვითარების ისეთი პროცესია, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ითვალისწინებს ტექნიკური, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებას. ინტენსიფიკაციის დროს წარმოების შედეგები მუდმივად წინ უსწრებს დანახარჯებს და რაც უფრო მაღალია ამ გასწრების დონე, მით უფრო სწრაფად იზრდება წარმოების ეფექტიანობა. აი, რატომ მოაქცია სკკპ XXV ყრილობაზე ეკონომიის ხელოვნება სამეურნეო მუშაკთა ყურადღების ცენტრში, აი, რატომ მიუთითებენ ამის შესახებ, რომ არ არსებობს ეკონომიკა ეკონომიის გარეშე. ზუსტად ვიანგარიშოთ და ეფექტიანად გამოვიყენოთ თვითეული დანანდებული მანეთი, თვითეული სამუშაო საათი, — ასეთია ამჟამად სამეურნეო განვითარების უცილობელი კანონი.

ხარისხის, ეფექტიანობის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ხუთწლედში, როგორც ცნობილია, პირველ პლანზე სულ უფრო მეტად გამოდის მუშაობის ხარისხობრივი ფაქტორები, შესაბამისად თვისებრივად ახალი ამოცანები დგება შემხვედრი დაგეგმვის წინაშე. მუშაობის ხარისხი კი პირველ რიგში ჩვენი გეგმების ხარისხის, მათი დასაბუთებულობის ხარისხია.

წლეულს შემხვედრი გეგმების აღების პროცესი რამდენადმე გვიან დაიწყო და ეს სავსებით გასაგებია. პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი განიხილავდა თავისი ხუთწლიანი პროგრამის პროექტს, სკკპ XXV ყრილობამ კი საბოლოოდ განსაზღვრა ჩვენი მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

სპეციალურ განმარტებაში — „საწარმოთა (საწარმოო გაერთიანებათა) 1976 წლის შემხვედრი გეგმების შემუშავების სტიმულირების და აღრიცხვის წესის შესახებ“ ნათქვამია, რომ შემხვედრი გეგმების შემუშავების უმთავრესი მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ეფექტიანი ტექნიკური და მორალური წახალისების გაძლიერება. თუ საწარმო (გაერთიანება) შეასრულებს შემხვედრ გეგმებს, მუშაკებს პრემია დაერიცხებათ და მიეცემათ გადიდებული ოდენობით. პრემიების ოდენობის გადიდება მოხდება მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე. ამ მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მატერიალური წახალისების ფონდის ნაშთები, აგრეთვე სამინისტროს, უწყების, გაერთიანების მატერიალური წახალისების (ინტრალიზებული ფონდის სახსრები. შემხვედრი გეგმის შესრულებაზე სისტემატურ კონტროლს აწარმებენ როგორც ზემდგომი საბჭოური, ისე სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები.

როგორც ვხედავთ, მეათე ხუთწლედში შემხვედრი დაგეგმვის ამოცანები კიდევ უფრო ფართოვდება. ახლა საკმარისი როდია მუშაობა • დადაინტერესოთ მატერ წარმოების ზრდით. მთავარია განფენილიყოს მათ სწრაფვა არსებული რესურსების უკეთ გამოყენებისა, რაც საბოლოო ჯამში წარმოების რაოდენობრივი ზრდის პარალელურად უზრუნველყოფს მის ხარისხობრივ ზრდასაც.

როგორც ვთქვით, მეათე ხუთწლიანი გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით რამდენადმე დაყოვნდა შემხვედრი გეგმების შემუშავების პროცესი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შიდასაწარმოო რეზერვების ძიება საწარმოთ კოლექტივებმა უნდა გადასდონ იმ დროისათვის, ვიდრე ისინი არ მიიღებენ ყველა მაჩვენებლის მიხედვით საბოლოოდ

მხოლოდ შმაღლესი ხარისხის...

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივმა გაბედა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გადაწყვეტილია მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულონ ოთხ წელიწადში და გამოუშვან მხოლოდ მაღალი ხარისხის მედიკამენტები.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის აქტიურად იბრძვის „კომკავშირული პროექტორი“. მისი წევრები გაბედულად ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებს, უნარიანად უწევენ პროპაგანდას შრომის პროგრესულ მეთოდებს, აკრიტიკებენ დისციპლინის დამრღვევებს, მოუწოდებენ წარმოების მუშაკებს ჩაებან მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში. სურათზე: (მარცხნიდან) მეტაბელე ნელი ყანჩაველი, შემკეთებელი ზეინკალი რევაზ ჭამასიშვილი, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი შორენა გოგოლაძე, ხაამპულე ხაამჭროს გამისინჯველი ნაირა ჭანტურია და ლაბორანტი რუსუდან ხელაძე გაზეთ „კომკავშირული პროექტორის“ მორიგი ნომრის მომზადების დროს.

ვ. მირბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეფექტიანობის გზა ეფექტიანობის გზაა

გამოით სახელმწიფო უფრო სიმედიო გარანტიას იღებს იმისათვის, რომ დამატებითი პროდუქცია გამოშვებულ იქნას საქონლის ასორტიმენტით.

საწარმოთა (გაერთიანებათა) მეგზეური გეგმების მაჩვენებლები თავისადროულად უნდა გაანაწილონ და მოიწონონ ზემდგომ ორგანოებმა.

შემხვედრ გეგმებში შევა მუშათა, საამქროთა, უბნებისა და საწარმოს სხვა ქვეგანაყოფთა მუშაკების პირადი და კოლექტიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი — ამიტომ აუცილებელია მათი სათანადო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემხვედრი გეგმა და მუშაობის ხარისხი

პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად უზრუნველყოთ მისი ხარისხობრივი სრულყოფაც

**ბრეჟნევის ძეგლთან, ბულვარ „ალეკო“ ბაბაიანის ბინა-ოჯახი, ბინა-ოჯახი ბინა-ოჯახი, ბინა-ოჯახი ბინა-ოჯახი, ბინა-ოჯახი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკადრო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მოლაპარაკება დაიწყო

ლონდონი. (საკდესი). აქ დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. კალაგენის მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს, რომელიც საქმიან და მეგობრული ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

იმავე დღეს ჯ. კალაგენმა დარბაზობა გამართა დიდ ბრიტანეთში ა. ა. გრომიკოს ყოფნის გამო. დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ყველა ხალხის საკეთილდღეოდ

გეს ჰოლის გაანცხადება

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა გაზეთ „დეილი უორლდში" გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი სკკპ XXV ყრილობის მუშაობაზე.

ყრილობაზე განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ერთიანობა და განუხრელი ზრდა. ეს, ჩემი აზრით, მსოფლიო ვითარების დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა, თქვა გ. ჰოლმა. საერთო შეუქცევადი ტენდენცია ახლა ისე ვითარდება, რომ კიდევ უფრო შეკავშირდეს და გაფართოვდეს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა.

შეეხო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, გეს ჰოლმა აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი ყურადღება დაუთმო სკკპ XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებული მშვიდობის პროგრამის შემდგომ განხორციელებას. საქმე ეხება კონკრეტულ წინადადებებს და, კერძოდ, იდეას, რომ მოიწყოს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია, რომელიც შეცვლიდა შეიარაღების ზრდის ახლანდელ ტენდენციას და დასაბამს მისცემდა იარაღის წარმოების შემცირებასა და საერთოდ გამოყენებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა აზრი, განაგრძობს გეს ჰოლი, რომ მთელი მსოფლიო მიისწრაფვის ისეთი მიმართულებით, როცა მშვიდობიანობა ცხოვრების ნორმად იქცევა და დამკვიდრდება დაძაბულობისა და განუწყვეტელი გამაღიზიანების ნაცვლად. ეს დიადი იდეა, რომელსაც ცოცხალად ეხმაურება ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა დიდ ყურადღება დაუთმო XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის აღმავლობა. ჩემი აზრით, განაცხადა მან, XXV ყრილობა მოასწავებს ისტორიულ მომენტს, როცა ცხოვრების თვისებრივი დონე სსრ კავშირში უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოს რომელიც განებავთ ქვეყანაში, კერძოდ, შეერთებულ შტატებში.

ცხოვრების დონის განხაზღვრისას, თქვა მან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ სსრ კავშირში არავინ არ ცხოვრობს სიღატაკეში, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში 30 მილიონი ღატაკი გვყავს. შეერთებულ შტატებში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ყველაზე მეტად შენელდა საბინაო მშენებლობა. ჯურღმულების რიცხვი მატულობს.

საბჭოთა კავშირში კი, ხაზგასმით აღნიშნა გეს ჰოლმა, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სწრაფი ტემპით, გაუხარელად მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა.

ცხოვრების დონის შეფასებისას, თქვა შემდეგ გეს ჰოლმა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის 40 მილიონი ხანგი, ლათინურამერიკული იმიგრანტი და ინდიელი—რასობრივი და ეროვნული ჩაგვრის საგანგებო სისტემის მსხვერპლნი. საბჭოთა კავშირში ცხოვრობს 100-მდე ეროვნება, მაგრამ ერთი ხალხი. ასეთი ყოველმხრივი შედარების დროს ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი-იმარჯვებს ორი სისტემის ისტორიულ შეჯიბრებაში.

ახლა, განაცხადა გეს ჰოლმა, საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის საოველთაო განვითარების მაღალი დონე. ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულია მიზანი — კიდევ უფრო ამაღლდეს საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრების დონე.

გეს ჰოლმა აღნიშნა, რომ XXV ყრილობაზე ცხადად გამოჩნდა სოციალისტური დემოკრატია. ყრილობის მონაწილეთა დისკუსიამ და ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ კრიტიკის ნიშნით ჩაიარეს და შეიცავდნენ მოწოდებას ქვეყნის ყველა მშრომელისადმი ფართოდ გამოიყენონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდი.

უშიშროების საბჭოს სხდომა

განიხილეს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობა

□

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო დღეს სასწრაფოდ შეიკრიბა სხდომაზე, რათა განეხილა სერიოზული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე ისრაელის ხელისუფალთა რეპრესიული ზომების შედეგად.

წერილში, რომელიც განვითარებადი სახელმწიფოების დიდი ჯგუფის სახელით გაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბიის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა, აღნიშნულია, რომ ვითარება იერუსალიმსა და მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის სხვა რაიონებში სულ უფრო საშიში ხდება. ადგილობრივი არაბ მოსახლეობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაფუშოს ისრაელ ოკუპანტთა ცდები დაიპყროს აღმოსავლეთი იერუსალიმი და სხვა ტერიტორიები. არაბთა მასობრივი გამოსვლების პასუხად, აღნიშნულია დოკუმენტში, პოლიციამ არაერთხელ დაუშინა ცეცხლი დემონსტრანტებს. ისრაელის ჯარის ქვეგანაყოფები რეპრესიულ ღონისძიებებს ახორციელებენ მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, მასობრივად აპატიმრებენ, ისწრაფვიან დაშინონ მკვიდრი მოსახლეობა. ისრაელის ასეთი მოქმედება კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას ამ რაიონში და საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განვითარებადი ქვეყნების დიდი ჯგუფის სახელით ლიბიამ მოუწოდა უშიშროების საბჭოს განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს ისრაელის ძალადობრივ მოქმედებასა და პოლიციურ რეპრესიებს მის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.

სხდომას ესწრება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია.



მოგზაურობა და შთაბეჭდილებები

კონტრასტების ქვეყანაში

რეგორც ამბობენ, ქვეყნის სავიზიტო ბარათი მისი დედაქალაქია, და ელენე სავსებით ამართლებს ამ გამოთქმას. ეს მთელი ინდოეთია, ოღონდ — მინიატურული. „დელიში შეხვედით ყველაფერს კარგსა და ცუდს, რაც კი ინდოეთში არსებობს. ეს ქალაქი ბევრი იმპერიის საფლავი და რესპუბლიკის აკვანია... აქ ყოველ ნაბიჯზე გეხვდება ჩვენი ისტორიის ათასწლიანი ტრადიციები" — წერდა ჯავაჰარლალ ნერუ, და აეროდრომიდან სასტუმროდე საათნახევრიანი მგზავრობაც კი საკმარისია, ამ სიტყვების სიმართლეში რომ დარწმუნდეთ. ქალაქის ცენტრში წითელი ქვის მასიური სვეტები კიდევ უფრო დიდებულ იერს აძლევენ პრეზიდენტის სასახლეს — „რაშტრაპატის ბჰავანს". მშვენიერია ქალაქის მთავარი მაგისტრალი რაჯაპატი — სახელმწიფო გზა, რომელიც ცხრილი ინდოეთის კარიბჭით მთავრდება. შორს წაგვიყვანს დელის ღირსშესანიშნაობათა ჩამოთვლა, მაგრამ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას წითელ ფორტზე. იგი XVII საუკუნის ნაგებობაა, არც თუ ისე ძველი ინდოეთისათვის, მაგრამ 1947 წლის 15 აგვისტოს წითელი ფორტი სამუდამოდ იქცა ინდოელი ხალხის ეროვნული ღირსების რელიკვიად. ამ დღეს ფორტის ტერიტორიაზე თავმოყრილ ნახევარმილიონიან აუდიტორიას ჯ. ნერუმ მიუღოცა დამოუკიდებელი ინდოეთის დაბადება. მას შემდეგ ფორტზე ამაყად ფრიალებს თეთრ-მწვანე-ნარინჯისფერი სახელმწიფო ალამი, რომელზეც გამოსახულია ინდოეთის ლეგენდარული იმპერატორის აშოკის ბორბალი „ჩაკრა" — მარადიული წინსვლის სიმბოლო. ფორტის მთელი კომპლექსი მშვენიერად არის შენახული.

...ფეხსაცმელს გარეთ ვტოვებთ და წინდების ამარა შევდივართ ინდოეთის უდიდეს მეჩეთ „ჯამნა მასჯიდში". მეჩეთი XVII საუკუნეში დიდ მოგოლს შაჰ ჯაჰანს აუგია. მასიური ქვის ფილებით მოკირწყლული მეჩეთის შიდა ეზო ერთდროულად 20.000-ზე მეტ მლოცველს იტევს, თითო მლოცველისათვის თითო ფილაა გამოყოფილი. აგერ უკვე 300 წელია, რაც დღეში ხუთჯერ ივსება აქაურობა მლოცველებით. საერთოდ მუსლიმანები ინდოეთის მოსახლეობის ერთ მეათედს შეადგენენ, დელიში კი მოსახლეობის ნახევარი მუსლიმანია.

დელიში, ისე როგორც მთელს ინდოეთში, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა დიდ მოგოლთა კვალი. ეს მეტწილად მათ სახელებთან დაკავშირებული დიდებულად ნაგები აკლდამებია. თუმცა ზოგჯერ მონარქთა ცოლებიც ახერხებდნენ თავისი სახელის უკვდავყოფას. დიდი მოგოლი ჰუმანიონის მეუღლე ჰამიდა ბანუ ბეგალი, თურმე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქმრის აკლდამის მშენებლობაში, რისთვისაც მადლიერმა მპრძანებელმა ნება დართო თვითე კედელზე, ცენტრალურ ადგილას ექსაქმიანი დგიოის ვარსკვლავი ამოეტვიფრა, რამდენადაც ჰამიდა ებრაული წარმოშობისა იყო. აკლდამის შიგნით, ცენტრში თეთრად ქაქანებს ჰუმანიონის მარმარილოს საფლავი, ოღონდ ყალბი, ნამდვილი კი მის ქვეშაა მოთავსებული. ეს კეთდებოდა არა იმიტომ, რომ საფლავი მძარცველებისაგან გადაერჩინათ — მიცვალებულებს, როგორც წესი, ძვირფასეულობას საფლავში არ ატანდნენ. საქმე ის არის, რომ რელიგია კრძალავდა ნამდვილი საფლავის ნახვას.

თანამედროვე ინდოეთის ემბლემად იქცა 72 მეტრის სიმაღლის კუტუბ მინარის კოშკი. XII საუკუნემდე ამ ადგილას ინდუსტანი ტაძარი ყოფილა, XII საუკუნეში, „კი როდესაც ინდოეთში მუსლიმანობამ იმძლავრა, ტაძარი დაუნგრევიათ და მის ადგილას ტაძრისაგან ქვებისაგან კოშკი აუგიათ. დღეს კოშკის რაიონი დელის მცხოვრებთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. აქვეა ლეგენდარული რკინის სვეტი. იგი IV საუკუნეში დაუშვადებიათ ხელოსნებს დღემდე უცნობი ლითონის შენადნობისაგან. ამბობენ, რომ სვეტს წარმატება მოჰქონდა მეომრისათვის, რომელიც ზურგით მიყრდნობოდა მას და მკლავებს შემოხვევას შეძლებდა. არ ვიცი, რა სირთულეს წარმოადგენდა ეს პროცესი ინდოელ მეომრათათვის, მაგრამ ჩვენი ტურისტული გადაშენდა ანტილოპა — ლომების საყვარელი „კერძი". ლომისაგან ძროხების დასაცავად გლეხებმა ახალ ხერხს მიმართეს — ლომის მიერ წინა ღღით გაფატრულ ძროხას სწრაფმოქმედ საწამლავს ასხამდნენ, და როდესაც ნადირი „მეფე" კვლავ თავის მსხვერპლს მოუბრუნდებოდა, იქვე იღუპებოდა.

ბომბეი... ქვეყნის 6-მილიონიანი ქალაქი და ინდოეთის უდიდესი ნავსადგური, რომელზეც მთელი იმპორტის 46 პროცენტი მოდის. პირველსავე ღღეს უზვიერო სვენის მოწმენი გავხდით. ქალაქის თითქმის ცენტრში, ღია ცის ქვეშ მოწყობილია სამრეცხაო. სარეცხს მხოლოდ მამაკაცები რეცხავენ და ერთობ უცნაურად — ცივ წყალში და უსაპნოდ. სველ სარეცხს ცემენტის სპეციალურ დიდ ლოდებზე ტაფაპუნებენ და ამ გზით აშორებენ მას ჭუჭყს. როგორც მასპინძლებმა გვიხსნეს, ასეთი მოცვლა-ვების სპეციალური გაერთიანებაც კი არის ყოფილ მფლობელ ვადიარისაგან უცხოელი საქმოსნების მიერ მაისურის სასახლის ანტიკვარული იმვიალობის ჩალის ფასად შესყიდვას და მელბურნის აუქციონზე მის ზღაპრულ ფასებში გაყიდვას. როგორც გაზეთი იუწყებოდა, აუქციონზე გაიყიდა ოვიანი ფეოწერული სურათები, სასახლის საბანკეტო დარბაზის უნიკალური ნაკეთობის 38 ჭაღი, 40 მდიდრული სავარძელი, 17 ეტლი (რომელთა შორის ერთ-ერთი სპეციალური შეკვეთით იყო ბრიზში დამზადებული 1880 წელს და რომლითაც იმპერატორ ალექსანდრე III-ს, ვიქტორია მოზაურობდა ინდოეთში), ვერცხლის საგარეუჯო ჭურჭელი, უნიკალური სანადირო ინვენტარი და სხვა. ყოველივე ამის უცხოეთში საიდუმლოდ გასატანად ერთი თვის განმავლობაში 40 დურგალი 16 კონტეინერს ამზადებდა.

მაისურის სასახლის საგანძურის უცხოეთში კონტრაბანდული გატანა, სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ინდოეთის დასხოვების და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების წინააღმდეგიც არის. საშინაო რეაქციის სახეთაო გაკმეტიერებამ აიძულა ინდოეთის მთავრობა მარწან 26 ივნისს ქვეყანაში შემოეღო საგანგებო წესები. უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის მრავალმილიონიანი მოსახლეობის მეტმა წილმა მოიწონა მთავრობის ღონისძიებები. საგანგებო წესების შემოღებას გავლენა არ მოუხდენია ცხოვრების ნორმალურ რიტმზე, სამგიერად ბოლო მოეღო რეაქციული პარტიების ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

ინდოეთში ჩვენი მოგზაურობის დროს მხოლოდ ხუთი თვე იყო გასული საგანგებო წესების შემოღებიდან და რიგითი ინდოელები, ვისთანაც კი შეგვედრა და საუბარი მოგვიხდა, ერთხმად აღნიშნავდნენ საერთო ჰდგომარეობის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, სახელმწიფო სექტორის საქმიანობაში.

დასასრულს არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ინდოელი ხალხის ის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც კეთილ მეგზურად თან გვდევდა მოგზაურობის მთელ მანძილზე. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როდესაც ამ დღეებში საბჭოთა კავშირის XXV ყრილობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალებში „ინდიან ეკსპრესის" მოწინავე წერილსაც შევხვდი ასეთი სათაურით „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობა და „მესამე სამყარო". „საბჭოთა კავშირისა და განვითარებადი სამყაროს მეგობრული თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა... ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, განსაზღვრა რა მეათე ხუთწლედის ამოცანები, მხედველობაში მიიღო „მესამე სამყაროს" გასაჭირი და მოთხოვნილებები" — წერდა ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთი, და ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები სრულად გამოხატავენ ინდოეთის მრავალმილიონიანი ხალხის ფართო ფენების, პროგრესული წრეების აზრსა და განწყობილებას ჩვენი ქვეყნისადმი.

ს. ციწაძე.

დელი—თბილისი.

* * *

სურათზე: ინდოეთის დედაქალაქი დელი. წითელი ფორტი.



მსოფლიოს ამბები

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი ტუნისში

ტუნისი. (საკდესი). ტუნისის პრეზიდენტმა ხ. ბურგიბამ მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ი. სტრაუტმანისი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც ტუნისის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 20 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობდა, მიიღეს აგრეთვე ტუნისის პრემიერ-მინისტრმა ხ. ნეიერამ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. შატიმ.

კაპიტალის სამყაროში

იტალია

მილანის მშრომელები გადაჭრით მოითხოვენ მთავრობისაგან, რათა დაუყოვნებლივ მიიღოს გადამჭრელი ზომები ფარმოების შეკვეცისა და უმუშევრობის ზრდის წინააღმდეგ (ზემოთ).

იაპონია

მთელ ქვეყანაში იმართება საპროტესტო მიტინგები ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან იაპონიის საქმიანი და მმართველი წრეების მჭიდრო კავშირის წინააღმდეგ. ტოკიოში გაიმართული მასობრივი დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს ამერიკის საავიაციო კომპანიის „ლოკჰიდის" მიერ იაპონიის გავლენიანი მოღვაწეებისათვის ქრთამის მიცემის საქმის ბოლომდე გამოძიება.

* * *

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

არაბთა საფრთხეთა საქმის საგზიანოდ

- გმობენ დამამცირებელ ქედმოხრის პოლიტიკას
- საკადრისი პასუხი ცილისმწამებლურ კამპანიას
- ამერიკული გაზეთი სადათის პოლიტიკის შესახებ

დამასკო. (საკდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან არაბთა მეგობრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა არაბისათვის, კერძოდ პალესტინის არაბი ხალხისათვის, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის წევრმა აბდელ მოხსენ აბუ მეიზარამ სადათის ახლანდელი მოქმედების გამო.

რაც უნდა მოხდეს, არაბ ხალხებს არასდროს დაავიწყდებათ პოლიტიკური, დიპლომატიური მხარდაჭერა, ყოველმხრივი დახმარება, რომელსაც იღებდნენ და იღებენ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებისაგან.

ხართუმი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აიამი" საკადრის პასუხს აძლევს ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც ეგვიპტის მმართველმა ზედაფენამ გაიჩაღა განსვენებული პრეზიდენტის გ. ა. ნასერის პოლიტიკის წინააღმდეგ. სტატიის ავტორი ამტკიცებს, ნასერის პოლიტიკის დისკრედიტაცია „ხელს აძლევს" უწინარეს ყოვლისა დამბობილი მონარქიული რეჟიმის წარმომადგენლებს, სოციალური გარდაქმნების აშკარა მოწინააღმდეგეებს, ყველა ჯურის რეაქციონერებს.

საგულისხმოა, რომ ნასერის მოწინააღმდეგეთა პოზიცია, აღნიშნულია სტატიაში, მოიწონეს დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ.

ვაშინგტონი. (საკდესი). გაზეთი „ვაშინგტონ სტარნიუსი" წერს: პრეზიდენტმა სადათმა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტით ყველა უკან დასახევი გზა მოიჭრა. საკმაოდ პრობლემატურია ის, რაც მოელის მას მეგობრობისა და თანამშრომლობის, და რაც მთავარია, იარაღის მიწოდების თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო აზრით სსრ კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტით სადათი ცდილობს გაიუმჯობესოს შეერთებული შტატებისაგან არსებითი სამხედრო დახმარების მიღების შანსები.

ეგვიპტის ისეთი მოქმედება ხდება ისრაელის მხრივ წინააღმდეგობის ფონზე, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო. ამჟამად კონგრესში მიმდინარეობს ვაშინგტონის მთავრობის ამ წინადადების გამო, მიპყიდოს თუ არა სადათს უქვსი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი „ს-130". შესაძლოა, კონგრესმა გაიღაშქროს ეგვიპტისათვის სამხედრო მიწოდებათა ფართო პროგრამის წინადადებათა წინააღმდეგ.

ისრაელები მეტად კმაყოფილნი იქნებოდნენ, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა რომ გაუარესდეს.

ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, განაგრძობს გაზეთი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ არაბის სრული ხელახალი აღჭურვისათვის საჭირო ღონისძიებათა ჭასშტაბი, რომელშიც შეიდის 332.500 კაცი, 450 სამხედრო თვითმფრინავი, 2 ათასი ტანკი და დაახლოებით 1700 შორსმსროლელი ქვემეხი. ამას მრავალი წელი და ბევრი მილიარდი დოლარი დასჭირდება. დიდად საეჭვოა ის აზრი, რომ ეს განამტკიცებს ამერიკა-ეგვიპტის ურთიერთობას და ხელს შეუწყობს სტაბილურობის გაძლიერებას მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ახალი მილიარდები შეიარაღებისათვის

ვაშინგტონი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა მოიწონოს მთავრობის თხოვნა, რომ მომავალ სხვინანსო წელს 24,7 მილიარდი დოლარი გამოპყოს თავრობის დაწესებულებათა ფარგლებში სამეცნიერო-ტექნიკური კვლევისათვის.

გამოთხოვილი სახსრების დიდ ნაწილს გამოიყენებენ შეიარაღების ახალ სისტემათა შექმნის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრებისა და გამოკვლევებისათვის. ასიგნებანი ამ მიზნით

ჯ. ფორდის წერილი კონგრესს

□

მომავალ საფინანსო წელს 13 პროცენტით გაიზრდება და თითქმის 11 მილიარდ დოლარს შეადგენს. პრეზიდენტის წერილში აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ შეიარაღებათა დარგში ძირითადი საუშაოები იწარმოებს წყალქვეშა ნავების „ტაიფენტის" და „ბ-1" სტრატეგიული ბომბდამშენების სისტემის, ეგრეთ წოდებული „ფრთოსანი" რაკეტების სისტემის შექმნის პროგრამით, ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური სარაკეტო სისტემის ეარიანტების განსაზღვრისათვის. ტაქტიკურ შეიარაღებათა სფეროში გათვალისწინებულია მთელი რიგი ფართო პროგრამები, კერძოდ, ახალი ავიაგამანადგურებლებისა და ვერტმფრინავების შექმნა. გამოიკვლევენ აგრეთვე ისეთი ახალი ტექნოლოგიური საშუალებების საბრძოლო პოტენციალს, როგორიც არის ლაზერები.

მთავრობის მოთხოვნა ნიშნავს შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების შემდგომ გადიდებას.

საკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

- პარიზი. საფრანგეთის კომუნისტური პარტია იწყებს კამპანიას მშრომელ მასებში XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განმარტებისათვის. ეს გამოცხადდეს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ამ კამპანიის მიზანია განმარტოს ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და კომპარტიის პოლიტიკა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში.
- ბუენოს-აირესი. აქ მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სემინარმა „ქალის როლი საზოგადოების ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაში". იგი მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არგენტინის მთავრობის წინადადებით.
- ბოკაიო. თითქმის 19 პროცენტით გაძვირდება სამედიცინო მომსახურება იაპონიაში მომდინარე წლის აპრილიდან. ეს გადაწყვეტილება ღღეს მიიღო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული სპეციალური საბჭოს სხდომამ. სამედიცინო მომსახურებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაძვირდა მედიკამენტებიც.
- ლიმა. აქ დამთავრდა პერუს შრომის საყოველთაო კონფედერაციის IV ყრილობა. ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში კარდინალური სოციალური ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებას.
- კამპალა. აქ დაიხურა ფოტოგამოფენა „სსრ კავშირი ღღეს", რომელიც დათვალიერა 25 ათასზე მეტმა კაცმა. უგანდელებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ექსპოზიციის იმ განყოფილებისადმი, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

ადასტურებს პრესა

მაწანწალა ანტისაბჭოელი

მადრიდი. 23 მარტი. (საკდესი). ესპანეთის რეაქციულმა წრეებმა, რომლებიც ფაშისტური რეჟიმის ნაშთებს ებღაუპერიან, მადრიდის ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობა მისცეს პირწავარდნილ ანტისაბჭოელს სოლჟენიცინს. რომის გაზეთი „პაეზე სერა" ამ გამოსვლის გამო წერს, რომ სოლჟენიცინს მოსწონს ფრანკიზმი და ცინიკურად განუცხადებია: „ფრანკისტული რეჟიმი სასარგებლოაო" ესპანეთისათვის და „აბსოლუტური თავისუფლება" მოუტანია მისთვისო.

თავგამოდებულმა რეაქციონერმა, წერს შემდეგ გაზეთი, ურჩია ესპანელ ხალხს „ამ მოთხოვოს გაფიცვის თავისუფლება", რადგან ამას შეიძლება „კომუნისტური დიქტატურა" მოჰყვესო. სოლჟენიცინმა გაამართლა ბასკების სიკვდილით დასჯა. გაზეთი „პაეზე სერა" მართებულად ამბობს სოლჟენიცინის ამ ინტერვიუს გამო: ეს არის გამოსვლა „ბოხუესა, რომელიც ცარიზმის ეპოქას მისტირისო".

ამასთან დაკავშირებით უინტერესოა, რომ ნასერის მოწინააღმდეგეთა პოზიცია, აღნიშნულია სტატიაში, მოიწონეს დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ.

ვაშინგტონი. (საკდესი). გაზეთი „ვაშინგტონ სტარნიუსი" წერს: პრეზიდენტმა სადათმა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტით ყველა უკან დასახევი გზა მოიჭრა. საკმაოდ პრობლემატურია ის, რაც მოელის მას მეგობრობისა და თანამშრომლობის, და რაც მთავარია, იარაღის მიწოდების თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო აზრით სსრ კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტით სადათი ცდილობს გაიუმჯობესოს შეერთებული შტატებისაგან არსებითი სამხედრო დახმარების მიღების შანსები.

ეგვიპტის ისეთი მოქმედება ხდება ისრაელის მხრივ წინააღმდეგობის ფონზე, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო. ამჟამად კონგრესში მიმდინარეობს ვაშინგტონის მთავრობის ამ წინადადების გამო, მიპყიდოს თუ არა სადათს უქვსი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი „ს-130". შესაძლოა, კონგრესმა გაიღაშქროს ეგვიპტისათვის სამხედრო მიწოდებათა ფართო პროგრამის წინადადებათა წინააღმდეგ.

ისრაელები მეტად კმაყოფილნი იქნებოდნენ, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მდგომარეობა რომ გაუარესდეს.

ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, განაგრძობს გაზეთი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ არაბის სრული ხელახალი აღჭურვისათვის საჭირო ღონისძიებათა ჭასშტაბი, რომელშიც შეიდის 332.500 კაცი, 450 სამხედრო თვითმფრინავი, 2 ათასი ტანკი და დაახლოებით 1700 შორსმსროლელი ქვემეხი. ამას მრავალი წელი და ბევრი მილიარდი დოლარი დასჭირდება. დიდად საეჭვოა ის აზრი, რომ ეს განამტკიცებს ამერიკა-ეგვიპტის ურთიერთობას და ხელს შეუწყობს სტაბილურობის გაძლიერებას მთელ ახლო აღმოსავლეთში.

პ. ჰერსტი გაასამართლეს

ნიუ-იორკი. 22 მარტი. (საკდესი). საგაზეთო მაგნატის ქალიშვილი პატრიცია ჰერსტი დამნაშავედ ცნეს ბანკის გაძარცვაში და დანაშაულის ჩასადენად ცეცხლსასროული იარაღის გამოყენებაში. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს ნაფიცმა მსაჯულებმა სან-ფრანციასკოში დამთავრებულ სასამართლო პროცესზე. მსჯავრდადებულს განაჩენს გამოუტანენ 19 აპრილს.

ნივთიერ მტკიცებათა და მრავალი მოწმის ჩვენებათა საფუძველზე ნაფიცი მსაჯულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 1974 წლის 4 თებერვალს პ. ჰერსტი „სულიერად მზად" იყო შეერთებოდა მცირე მომემარცხენო ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელიც თავის თავს უწოდებდა „განთავისუფლების სიმბიონისტურ არმიას".

პ. ჰერსტს ემუქრება საპყრობილეში პატიმრობა 35 წლამდე და ფულადი ჯარიმა 10 ათასი დოლარის ოდენობით. მისი დამცველები ცდილობენ იხსნან თავიანთი სამეურვეო პიროვნება საპყრობილისაგან — გამოატანონან მისთვის პირობითი სასჯელი.

უცხოეთის პრესიდან

ზვიგენები — მკვლელები

ავსტრალიის ნებაყოფლობითი სანაპირო სამსახური აფრთხილებს ყველას, რომ საკრძობლად გაიზარდა სიდნეის ნავსადგურში და პლაჟების მახლობლად ზვიგენების გამოჩენის საშიშროება. ზვიგენებზე სათვალთვალო სამსახურის ვერტმფრენის მფრინავი იენბიდაკმი იუწყება, რომ საკუთარი თვალით დაინახა 500 დიდი ზვიგენი, რომელთა შორის ზოგიერთი 6 მეტრზე მეტს აღწევდა. ტაცებლები სანაპიროსთან გამოჩნდნენ, როცა თბილი დინება კონტინენტს მიუახლოვდა. მათი პირველი მსხვერპლი გახდა 20 წლის მებდური პიტერ კოული. ორმეტრიანი ზვიგენის წამახვილებულმა კბილებმა მას ფეხი გაუფატრეს. კოულის ბედმა გაუღიმა: ზვიგენის მეორე შემოტევისაგან თავი იმით იხსნა, რომ ნაპირზე გადახტომა მოასწრო.

ოერთმეტი წლის უკან შაიპარდი კი ზვიგენის ადგილობრივი 80 სახეობიდან ყველაზე საშიში თეთრი ზვიგენის მსხვერპლი გახდა. ავსტრალიელებს ზვიგენ

მართალი ხელოვნება

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვში გრძელდება თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები. თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა მთელი საგასტროლო რეპერტუარი: ბ. ბრეკტის „კავკასიური ცარცის წრე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ა. გელმანის „პრემია“ („დასწყისი“), გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“.

სპექტაკლების დამთავრების შემდეგ მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სტუმრები, თეატრის მრავალრიცხოვანი მოყვარულები, უცხოელები მიდიან ვლ. მაიაკოვსკის სახელობის აკადემიური თეატრის ფოიეში, სადაც რუსთაველის თეატრისადმი მიძღვნილი ძეტად საინტერესო გამოფენაა მოწყობილი, სტენდებზე და ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ის დიდი და სახელოვანი გზა, რომელიც განვლო ქართულმა თეატრმა დღიდან თავისი არსებობისა. მოსკოველებს შეუძლიათ სახონ კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, ა. ხორავას, ა. ვასაძის, ს. ზაქარიაძის უნიკალური ფოტოები — იმ ადამიანებისა, რომელთა სახელებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსთაველთა ყოველი გამარჯვება და სიხარული... აქ, მყუდრო დარბაზში, კეთილ ტრადიციად იქცა იმპროვიზებული პრესკონფერენციების მოწყობა... ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო განლეგლული რუსთაველის თეატრის მრავალ სპექტაკლის წარმატებით გამოწვეული სიხარული, ჩვენ ვთხოვეთ შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთათვის ზოგიერთ თეატრალურ მოღვაწეს თუ მაყურებელს.

ა. კაზანსკაია — რსფსრ სახალხო არტისტი (ვახტანგოვის თეატრი): თეატრალური ხელოვნების ასეთი ჭეშმარიტი დღესასწაული მოსკოვში არც თუ ისეთი ხშირი მოვლენაა. გაბაცა რუსთაველელთა სპექტაკლების ყანრობრივი, სტილისტური ფორმების სიუხვეთ. „ყვარყვარეს“ ძძაფრ გროტესკულ სტიქიას „სამანიშვილის დედინაცვალის“ ტრაგიკომედიური დასაწყისი მოპყვა, რომელმაც მომდევნო დღეს ადგილი დაუთმო ა. გელმანის „პრემიას“ — ჩვენი საზოგადოების საჭირბოროტო საკითხების პრინციპულ და უკომპრომისო გამოვლინებას. ყველა დასახელებულ სპექტაკლს დიდი მოქალაქეობრივი ათბოსი ერთიანებს... რ. ჩხიკვაძემ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. დიდი მადლობა გ. გეგეჭკორს, ე. მანჯგალაძეს, ე. საყვარელიძეს, გ. საღარაძეს, თეატრის ახალგაზრდა თაობას, შეგეხიერი ხელოვნებისათვის.

ო. ეფრემოვი — რსფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი — ნეტავ ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვში რუსთაველის თეატრის სადარი კოლექტივები. ვიჯექ და ვფიქრობდი: გრძნობათა რა მოზღვავებული სიუხვეა, ფერთა როგორი სიკაშკაშე. ყოველი მსახიობი გამოირჩევა მკვეთრად გამოძერწილი ხელწერით, ხასიათით... ჩემთვის ახლოა გელმანის „პრემია“, რომელიც სამხატვრო თეატრში დაიდგა. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო რუსთაველის თეატრის მიერ ამ პიესის თავისებური გააზრება, რაც დიდ გამარჯვებად მიმაჩნია, ქედს ვიხრი ე. მანჯგალაძის — ბატარეკვის წინაშე. რა სერიოზული და რამდენად თავისებური გადაწყვეტა აქვს მონახული ამ ბრწყინვალე მსახიობს!

გ. ვოლჩეკი — თეატრ „სოვრემენიკის“ მთავარი რეჟისორი, რსფსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი — მიხარია, რომ მოსკოველმა მაყურებელმა გულით აგრძნობინა სიყვარული და პატივისცემა რუსთაველის თეატრის კოლექტივს. ჩვენ ასეთ დაფასებას და სითბოს ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით თქვენს მშვენიერ თბილისში ყოფნის დროს. აღტაცებული ვარ ყველა სპექტაკლით. საოცარია პლატონი — გ. გეგეჭკორი, გაუნმეორებელია რ. ჩხიკვაძე — კირილე, ბეკინა — ბ. ზაქარიაძე შეიყვარა მოსკოვის მაყურებელმა... ყველგან ჭარბად არის სიკეთე.

ა. გელმანი — პიესა „პრემიის“ ავტორი, დრამატურგი: პირველად გავეცანი ქართულ თეატრს, პირველად ვნახე ქართული სპექტაკლი. მადლობას გიხდით ჩემი პიესის დიდებული გადაწყვეტისათვის. სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ „პრემიის“ დადგმა რუსთაველელთა ინტერპრეტაციით ერთ-ერთ სუკეთესოდ მიმაჩნია ყველა დადგმებს შორის... რამდენი სიღრმე და დრამატიზმი იგრძნობა ე. მანჯგალაძის თამაშში, რა ლირიკულია და ამავე დროს მრისხანებით სავსე ბრიგადირი პოტაპოვი — ე. ლოლაშვილის შესრულებით. მივესალმები კ. კავლაძეს, ს. ყანჩელს, გ. საღარაძეს, ს. ლაღიძეს — ბრწყინვალე თეატრის ყველა მსახიობს...

ბ. პოიუროვსკი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრალური კრიტიკოსი: ჩვენი ძვირფასი სტუმრების სპექტაკლებში იმდენი აქტიორული გამარჯვებაა, რამდენი მსახიობიც მონაწილეობს. მაინც მინდა რამაზ ჩხიკვაძეთი დავიწყო — თანამედროვე საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი საინტერესო მსახიობით და მივუმატო მოსკოველთათვის უკვე კარგად ცნობილი სახელები: მ. თბილელი, გ. საღარაძე, ი. გიგაშვილი, კ. კავსაძე, ე. ლოლაშვილი...

ვ. ივანოვი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თეატრალური კრიტიკოსი: მოსკოველებს ძალიან მოეწონათ „ყვარყვარე“. ვიზიარებ მათს სიხარულს და აღფრთოვანებას. მომხიბლა რ. ჩხიკვაძემ, მსახიობმა ბრწყინვალედ წარმოგვიდგინა ყვარყვარე — ეს მონუმენტური არარაობა. ასე მგონია რ. ჩხიკვაძის გმირი უფრო ადრინდელი კირილე მიმინოშვილისაგან გამოიკვეთა და ახალი ელფერი და თანამედროვე ავანტიურიზმი დაემატა. საოცრად დიდია რუსთაველთა თეატრალური კულტურა. ესთეტიკა და ეთიკა სპექტაკლებში განუყოფელია...

რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს ბევრი უცხოელი სტუმარი ესწრება. მაყურებელთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სავაჭრო ფირმის წარმომადგენლები, რომლებმაც თქვეს: „ქართველი მსახიობების ოსტატობამ ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული კომედია შევიგრძნეთ მთელი თავისი კომიზმით. გულიანად ვიცინოდით და ხშირი ტაშით ვეგებებოდით ყველაფერს, რაც სცენაზე ხდებოდა“...

ლუსიენ ნომ, ფრანგმა ჟურნალისტმა და თეატრალურმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ „თეატრის ახალგაზრდა რეჟისორებს დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ მოუთმენლად მოელიან ახალ სპექტაკლებს“.

ლენა კარტმა, „ინტერნეშნლ მარკეტინგის“ წარმომადგენელმა მოსკოვმი, თქვა: „სამანიშვილის დედინაცვალი“ არაჩვეულებრივი სპექტაკლია. გამოაცა სპექტაკლის მაღალმა კულტურამ და მსახიობების უსაზღვრო ხელოვნებამ... დიდ მადლობას გიხდით...

რუსთაველის თეატრის გასტროლები გრძელდება...

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფი ვ. მაიაკოვსკის სახელობის აკადემიური თეატრის შენობასთან (აქ მიმდინარეობს გასტროლები).

მ. ბაბოვის ფოტო.

ამბების ყულაბა

რამდენიმე სტრიქონით

იუბილარი 111 წლისაა

ანდიჟანის რაიონის კოლმეურნეობა „ტამკენტის“ უხუცეს მცხოვრებს ალიმხოჯა ნარხოჯაევს 111 წელი შეუსრულდა. მას დაბადების დღე მხურვალედ მიულოცეს თანასოფლელებმა.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ალიმხოჯა ხშირად მიდის კოლმეურნეობის ვენახში, სადაც რამდენიმე ათეული წელი იმუშავა და სადაც ახლა მისი მოწაფეები შრომობენ.

ანდიჟანის რაიონში ბევრი დღეგრძელი ადამიანია. თხუთმეტი წლის წინათ აქ 70 დღეგრძელი ცხოვრობდა, ამჟამად მათი რიცხვი უკვე 104-ს აღწევს.

ერიდეთ... კომფორტს

ბერძანეთის ფედერაციული რესპუბლიკის საავტომობილო კონცერნები თავგამოდებით ცდილობენ, რათა ერთმანეთს აჯობონ მსუბუქი ავტომანქანების სალონის უახლესი კომფორტული ელემენტებით აღჭურვაში. რეკლამის გავლენით ბევრი დასავლეთგერმანელი თავმომწონე მძღოლი ცდილობს თავის ავტომანქანაში რაიმე მორიგი სიახლე დადგას.

ამას წინათ დასავლეთ გერმანიის პრესაში გამოქვეყნდა პროფესორ მიულერ ლიმროტის შრომითი პროცესების ფსიქოლოგიის დარგში ცნობილი ექსპერტის საეკლესიო ლაკვნა, რომელიც „ავტომანქანაში სუპერკომფორტის მავნეობას შეეხება. მეცნიერის აზრით, ყოველგვარი ძიგასამანქანო მოწყობილობით საზღვარს გადასული გატაცება მძღოლს საგზაო ავარიების საშიშროებას უქმნის.

„მოდად ქცეული მუსიკალური გართობა ავტომანქანაში, — წერს პროფესორი, — ხელს უწყობს გზებზე უბედურ შემთხვევათა ზრდას, ვინაიდან მძღოლს ავიწყდება ხოლმე, რომ საქმესთან ჯდომა ფაქტიურად მისი სამუშაო ადგილია“.

ბავშვი მაიმუნებში

ბურუნდიში ჩასული შვედი ტურისტებით სავსე ავტობუსი სავანაში ნელა კიბიოდა. მძღოლმა მანქანა შეაჩერა, რათა მგზავრებს საშუალება მისც�ოდათ მამტკბარიყვნენ მიდღიურზე მშვიდად ბაღარი მაიმუნების ცქერით. ტურისტები ავტობუსიდან გადმოვიდნენ. მაიმუნებს ეს არ მოეწონათ და ამჯობინეს იქაურობას გაცლოდნენ.

ერთ-ერთი ტურისტი უცებ ადგილიდან მოწყდა, გაქცეულ მაიმუნებს გამოეკიდა დ... ხუთი წლის ბავშვი დიიერა. ბიჭუნამ ლაპარაკიც კი არ იცოდა. მან, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო ამტკიცებს, ამ ამბავს რომ იუწყებოდა, მაიმუნებს შორის არაერთი წელი დაპყო. ამჟამად ბიჭუნა ბავშვთა სახლში ცხოვრობს.

სიგარეტი და მხედველობა

ალსტრალიის მედიკოსთა ასოციაციამ წინადადება მისცა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის. მფრინავებს აუკრძალონ სიგარეტის მოწევა გაფრენამდე რვა საათით ადრე. ავიაცია და თამბაქო სრულიად შეუთავსებელია ერთმანეთთან—ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ასოციაციის სპეციალისტები, რომლებიც იკვლევდნენ მფრინავთა ჯახმთელობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენას. როგორც გამოირკვა, რეისის წინ მფრინავის მიერ მოწეული სამი სიგარეტი მხედველობას აქვეთებს 20 პროცენტით. თამბაქოს მწეველი მფრინავი საგრძნობლად კარგავს რეაქციის სისწრაფეს.

მედიკოსების აზრით, თამბაქოს მწეველი მფრინავების წინააღმდეგ კამპანია ფართოდ უნდა გაიმართოს. მანამდე კი ამის თავი არ ჰქონდათ, ვინაიდან რამდენიმე წელი დასჭირდათ, რათა ავსტრალიელ მფრინავთა რაციონიდან ამოეღოთ... ალკოჰოლი.

ავინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა, 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო, 19 გრადუსი ცხაკაია'ძი აღინიშნა, დაბარჩენ დაბლობ რაიონებში 14-18, მთაში 10-15 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში უნალექო, ზოგან ნისლიანი ამინდი, დაბლობ რაიონებში 6-11, მთაში 3-8 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში 13 საათზე 10 გრადუსი სითბო იყო.

ჩვენი ცნობარი

ანდრია რაზმაძის პრემიის მოსაპოვებლად



1976 წლის 1 აპრილს, [illegible] მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ღია სხდომა, რომელიც განიხილავს

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სახელოვნის 1976 წლის პრემიაზე წარდგენილ ნაშრომებს.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

სხდომა შედგება მეცნიერებათა აკადემიის მცირე სხდომათა დარბაზში, ძერჟინსკის ქ. № 8.

საქართველოს საბჭოთა კავშირის მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1976 წლისათვის წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბოტანიკა,
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია,
3. ავტომანქანები და ტრაქტორები,
4. ჩაის ტექნოლოგია,
5. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლოატაცია და რემონტი,
6. საერთო მიწათმოქმედება,
7. მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება,
8. აგროქიმია,
9. სელექცია და მეთესლეობა,
10. მემცენარეობა.
11. სუბტროპიკული კულტურები,
12. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუხნეს 45 წლისა, რომლებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება აქვთ და რომლებმაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი გამოიჩინეს, სასალხო მეურნეობის სპეციალისტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან.

სასალხო მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც ასპირანტურაში შედიან, **არჩეული სპეციალობის პროფილის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის** გამოცდილება უნდა ჰქონდეთ **არანაკლებ ორი წლისა უმაღლესი სასწავლებლის** დამთავრების შემდეგ.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე შემდეგი სახუთები დართვით:

1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტო-სურათით;

2) დასახიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან;

3) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცხობები გამოგონებების, საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომები და გამოგონებები, უნდა წარმოადგინონ მოხსენებები (რეფერატები) არჩეული სპეციალობის მიხედვით;

4) მოწმობა № 6 ფორმით მოცემულ სპეციალობაში გათვალისწინებული საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებმაც ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაბარეს საკანდიდატო გამოცდები;

5) პასპორტს და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს ასპირანტურაში შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

საკონკურსო გამოცდები ჩატარდება 1976 წლის 10 აპრილიდან.

მოქალაქეებს, რომლებიც დაიშვებიან ასპირანტურის მისაღებ გამოცდებზე, ეძლევათ 30 კალენდარული დღის დამატებითი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით სამუშაო ადგილზე გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად.

ასპირანტურაში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლების პროგრამის მოცულობით.

განცხადება და სახუთები უნდა გაიგზავნოს მისამართით: ქ. სოხუმი — 4, **საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.**

სახბაზავი და **სასკოლო ნივთების ოდენობის საწარმოო გაერთიანებას შეუძლია გასცეს შეკვეთები წიფლის, მუხის, რცხილის შავი ნამზადის დასამზადებლად:**

110 X 70 X 50 მმ.	1600 X 90 X 50 მმ.
600 X 125X70 მმ.	1600 X 60 X 50 მმ.
750 X 70 X 25 მმ.	1600 X 100X32 მმ.
450 X 35 X 35 მმ.	2100 X 50 X 22 მმ.

ფიწვოვანი ჯიშებისაგან:

90 X 90 X 22	2000 X 90 X 32
1000 X 90 X 22	900 X 90 X 32

საპრეისკურანტო ფასებიხ შესაბამისად.

□ □

წინადადებები უნდა გაიგზავნოს მისამართით: 270023, ქ. ოდესა, კულიკოვის მე-3 შესახვევი, № 3, გაერთიანების საწარმოო განყოფილება.

ტელევიზია

24 მარტი

პირველი პროგრამით

11.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სმოკი და კაფანდარა“ (I სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა!“, 18.15 — მოსწავლეთათვის — „მუსიკალური გასაღები“. ფერადი გამოსახულებით (გამეორებით), 18.50— „სპეციალისტის რჩევა“, 19.05 — კინონარკვევი, 19.20 — „მგზნობრობის გზებზე“, 20.05 — კინონარკვევი, 20.20 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვერა და თევდორე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (გადმოცემა ბულგარეთიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 19.05 — კინონარკვევი „დამნაშავენი უფროსები არიან“, 19.25 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 20.25 — განცხადებები, 20.30 — მხატვრული ფილმი „ციცაბო“.

თეატრები

24 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლაისი (დილით მე-9 აბონ. მე-4 წარმოდგ.); **კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბაკიმასხარა** (დილით და საღამოს); **ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა** (დილით), **პაპანი ცაში** (საღამოს); **ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია** (მეტეხის ტაძარი) — **ჰამლეტი.**

და ნახეთ, რა მოგესმინოთ

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.

ჩვენი ეისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 03219 ბაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

წიგნები და მკითხველები

ოცდაათი გერმანული მოთხრობა

ქართველმა მკითხველმა ახლახან ერთი ფრიად საინტერესო წიგნი მიიღო. ეს არის მეოცე საუკუნის გერმანელი მწერლების მოთხრობების კრებული, რომელიც თავმოყრილია ოცდასამი გერმანელი მწერლის 30 მოთხრობა საერთო სათაურით **„სიკვდილი იგვიანებს“.** კრებულში, რომელიც შეუდგენია და უთარგმნია ხოდარ რუხაძეს (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ა. დავითიანი), წარმოდგენილია გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, აგრეთვე მათ ფარგლებს გარეთ მოღვაწე მწერლების მოთხრობები, ე. ი. გერმანულენოვანი ავტორების საწარმოებები.

როცა მთარგმნელი ასეთ კრებულს ადგენს, იგი მრავალი სიძნელის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, და უპირველესი სიძნელე მასალის შერჩევაა, საჭიროა ასეთ წიგნში მნიშვნელოვანი მწერლების დამახასიათებელი ნაწარმოებები შეიტანო. ამ თვალსაზრისითაც „სიკვდილი იგვიანებს“ საყურადღებო კრებულია, რომლის დიდი ღირსება ისიც არის, რომ მასში ბევრ მწერალს ქართულად პირველად გაეცანით.

კრებულში წარმოდგენილი გერმანული ლიტერატურის „ძველი გვარდიის“ აღიარებული მწერლების გვერდით ვხვდებით მათს ღირსეულ ცვლას — ახალგაზრდა თანამოკალმეებს.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ქართულ თარგმანებზე. ოცდასამი გერმანელი მწერლის სხვადასხვა სტილი, ინდივიდუალური თავისებურება და მიმართულება, ცხადია, მთარგმნელს სიძნელეს უქმნიდა, მაგრამ მას ეს სიძნელე როგორც ცალკეული მწერლების, ისე თავის სასარგებლოდ, დაუძლეავია. მხოლოდ წაკითხვაა საჭირო, რომ კარგად განსხვავოთ ერთმანეთისაგან თომას მანის, ალფრედ დიბლინის, ჰერმან ჰესის ზიგფრიდ ლენცების სტილური სხვაობა და მწერლური ინდივიდუალობა.

ახლა, როცა გერმანული მოთხრობების კრებულს კითხულობთ, გესიამოვნებათ, რომ ასეთი დიდი შრომატევადი საქმე მთარგმნელს ასე კარგად დაუსრულებია. ჩვენთვის უკვე მახლობელია ერვინ შტრიტმატერის („კურდღლები ღობეზე“) და ზიგფრიდ ლენცის („ღამე სასტუმროში“) ღრმა ლირიზმითა და ჰუმანიზმით აღსავსე მოთხრობების მორალი. ასევე მახლობელი გახდა მაქს ფრიშის, ვოლფ დიტრიჰ შნურეს, პაულ შალეუკის, მარტინ ვალზერისა და სხვათა მოთხრობების მკაცრი სატირული ტონი.

თუმცა წიგნისთვის დართულ ანოტაციაში გარკვევით არის ნაჩვენები, ამ მოთხრობების წიგნს სისრულის პრეტენზია არა აქვსო, ჩვენი აზრით, მაინც აუცილებელი იყო წიგნს დართვოდა მწერლების მოკლე, თუნდაც რამდენიმე სტრიქონიანი ბიოგრაფიული ცნობები.

ო. შენგელია.

ჭადრაკი

ნონა კვლავ პირველია

ბელგრადში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია კვლავ დაუკავშირდა იუგოსლავიის დედაქალაქს, სადაც დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

აი რა გვითხრა ტელეფონით მსოფლიოს ჩემპიონმა ხოხა გაფრინდაშვილმა:

— უკანასკნელ ტურში უნგრელი უ. ვერეცი, რომელიც როგორც იტყვიან, ფეხდაფეხ მომდევდა ტურნირში, აიძოზ შეუთანხმდა ტ. შტადლერს (იუგოსლავია). ამის მეშვეობ მეც ძვირფასად დავამთავრე ძველებელი იუგოსლავიელ ვ. კალბრენერთან.

ამავე დღეს ტ. ლემაჩკომ (ბულგარეთი) ძოუგო ს. ბოშკოვიჩს (იუგოსლავია), ხოლო მ. ივანკამ (უნგრეთი) — გ. ივანიჩს (იუგოსლავია).

მე-12 ტურის გადადებული პარტიებიდან ოსსანიშვილი ტ. ლემაჩკოს გამარჯვება მ. შეტრეშანთან (რუმინეთი), რითაც ბულგარელმა მოკადრაკემ გაუსწრო მ. ივანკას. ამრიგად, ბელგრადის საერთაშორისო ტურნირში მე პირველ ადგილზე გამოვედი — 11 ქულა, მეორე ადგილზეა ჟ. ვერეცი (ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე) — 10, მესამეზე — ტ. ლემაჩკო — 9,5, მეოთხეზე — მ. ივანკა — 9 ქულა.



სურათებზე: შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ხ. ნანიშვილი (ზემოთ) და ფ. ბოკერია (ქვემოთ) გუშინდელი ასპარეზობის დროს.

ი. იუნასეფის ფოტო.

ლინეს თბილისელმა მოსწავლეებმა — 11 წლის ხათუნა ნანიშვილმა (124-ე სკოლის მე-5 კლასი) და 15 წლის ფარნაზ ბოკერიამ (102-ე სკოლის მე-9 კლასი). ნიჭიერმა სპორტსმენებმა ოსტატურად შეასრულეს რთული ჩემპიონობა მოიპოვეს.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა არავის დაუთმეს თბილისისა და გორის ნაკრებმა გუნდებმა, რომლებმაც შესაბამისად გაიმარჯვეს პირველ და მეორე ჯგუფებში.



ტანვარჯიში

11 წლის ჩემპიონი

გუშინ თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის დარბაზში დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრაზზე.

ფინალში 12-12 ტანმოვარჯიშე გოგონა და ბიჭუკი იბრძოდა. გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოავლინეს თბილისელმა მოსწავლეებმა — 11 წლის ხათუნა ნანიშვილმა (124-ე სკოლის მე-5 კლასი) და 15 წლის ფარნაზ ბოკერიამ (102-ე სკოლის მე-9 კლასი). ნიჭიერმა სპორტსმენებმა ოსტატურად შეასრულეს რთული ჩემპიონობა მოიპოვეს.

ვინ ითამაშოს?

საზონათაშორისო ტურნირების შემადგენლობა

პადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახელა ვაჟთა შორის მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირების მონაწილეთა შემადგენლობანი. ტურნირები წელს ზაფხულში გაიმართება შვეიცარიასა და ფილიპინებში. თვითეულ სფაში საერთაშორისო ფედერაციამ ჯერ-ჯერობით შეიტანა 19 გვარი, თუმცა ამ შეჯიბრებებში გამოვა 20-20 მონაწილე: ორი ვაკანტური ადგილისათვის მალე გაიმართება რამდენიმე მოკადრაკის დამატებითი შეჯიბრება.

ჭადოკაის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ფილიპინებში ითამაშებენ, კერძოდ, საბჭოთა დიდოსტატები ლევ პოლუგაევსკი, ბორის სპასკი, ვიტალი ცეშკოვსკი და იური ბალამოვი, აგრეთვე დიდოსტატები ენრიკე-კოსტა შეკიხი (არაზილია), ლიუბომირ ლუბოიევიჩი (იუგოსლავია), ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ზოლტან რიბლი და ოშტვან ჩომი (ორივე — უნგრეთი), ფლორინ გეორგიუ (რუმინეთი), ულტერ ბრაუნი (ამერიკის შეერთებული შტატები), ეუგენიო ტორე (ფილიპინები), ოსკარ პანო და მიგელ კინტეროსი (ორივე — არგენტინა). შვეიცარიაში თავიანთ ოსტატობას ცხადყოფს ხუთი საბჭოთა მოკადრაკე დიდოსტატები ტიგრან პეტროსიანი, ეფიმ გელერი, მიხეილ ტალი, გენადი კუზმინი და საერთაშორისო ოსტატი ბორის გულკო, აგრეთვე საერთაშორისო დიდოსტატები ლაიმშ პორტიში (უნგრეთი), ბენტ ლარსენი (დანია), რობერტ ჰიუბნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ულფ ანდერსონი (შვეიცია), რობერტ ბირნი (ამერიკის შეერთებული შტატები), ალექსანდრე მატანოვიჩი (იუგოსლავია), რაულ სანგინეტი (არგენტინა) და სხვები.

ყოველი ტურნირის სამ-სამი გამარჯვებული შევა პრეტენდენტთა მეჯიბრების მონაწილეების ოიცხვში, რომელშიც გამოსვლის პერსონალური უფლება აგრეთვე აქვთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს რობერტ ფიშერს (ამერიკის შეერთებული შტატები) და მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლის წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეს ვიქტორ კორჩნოის (სსრ კავშირი). (საკდესი).

მშვილდოსნობა — **კალათბურთი**

აბსოლუტური ჩემპიონობაც და რეკორდიც

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელმა სტუდენტმა ვასილ ტროპინმა („სპარტაკი“) ამავე სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს კირეველობაზე დუშანბეში აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. გასასაკუთრებით კარგად გამოვიდა ვ. ტროპინი სროლაში 70 მეტრზე, სადაც 321 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

უკანასკნელ ტურში

მსტონეთის დედაქალაქში დამთავრებული ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში თბილისის „დინამომ“ წააგო კაუნასის „ჟალგირისთან“ — 67:75 (31:33). ცსკა-მ მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ — 82:72 (36:44), „სტროიტელმა“ — რიგი-ს — 95:72 (47:42), სკა-მ — სკიფ-ს — 85:64 (40:30), „სტატიბამ“ — „ურალმაშს“ — 89:72 (40:38), მოსკოვის „დინამომ“ — „კალევს“ — 91:81 (44:45).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.